განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

25.01.2019

20.02.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	211349192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ციცინო თურქაძე** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მამუკა ბენაშვილი** საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ანი ბილანიშვილი** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**გივი გავარდაშვილი** ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ წარმოადგენს მოქმედ აკრედიტებულ პროგრამას (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №12, 10.01.2014), რომელიც ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე.

2014-2015 წელს პროგრამა შემუშავდა აშშ-ს აიოვას უნივერსიტეტსა და სტუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გულისხმობდა აიოვას უნივერსიტეტში არსებული პროგრამის „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ ანალოგის გადმოღებას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო გაზრდილიყო სტუდენტების ტრანფერის შესაძლებლობა და მათ მესამე კურსიდან შესძლებოდათ სწავლის გაგრძელება აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის 5 წლიანი განხორციელების პერიოდში ასეთი შესაძლებლობის გამოყენება არ მომხდარა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე 2014 წლიდან მიმდინარეობს სახელმწიფოს მიერ აღნიშნული პროგრამის სრული დაფინანსება.

2016-2017 სასწავლო წლიდან პროგრამა ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის XI კორპუსში (დ. გურამიშვილის გამზ. №17), რომელიც წარმოადგენს განახლებულ და გამართულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტისათვის.

2018 წელს მოხდა პროგრამის მოდერნიზება და ახალი ვარიანტის შემუშავება, რომელიც განმეორებითი აკრედიტაციის მიღების მიზნით წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 25 იანვარს შემდეგი დღის წესრიგით:

1. შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან	გიორგი ქვარცხავა - აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი; ირმა ინაშვილი - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; თამარ წერეთელი - სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსი. ჯემალ ალანია - სტუს აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი.
2. შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან	გიორგი ქვარცხავა, ვახტანგ უგრეხელიძე, ირაკლი ყრუაშვილი, დავით გუბელაძე, დიმიტრი ნატროშვილი, მაია კუპრავიშვილი, ანა ჩუთლაშვილი, მეგი გლუნჩაძე.
3. შეხევდრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან	ნინო ლომიძე, ირმა ინაშვილი
4. შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან	ირაკლი ყრუაშვილი
5. შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან	ირმა ინაშვილი, რობერტ დიაკონიძე, ლია ამირანაშვილი,ზურაბ ლაოშვილი, კონსტანტინე ბზიავა, ჯიმშერ სირაძე,
6. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება	
7. შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან	ნატალია კოპალიანი, ნათელა მაჭავარიანი, მაია კუპრავიშვილი, მაია მელაძე, ოლღა ხარაიშვილი, ქეთევან როყვა, თინათინ დარსაველიძე, ომარ თედორაძე.

8. შეხვედრა სტუდენტებთან	მარიამ ახალკაცი, თეონა ტალიკაძე, მარიტა მაჭარაშვილი, სოფია ფეტვიაშვილი, ლია დარასელია, თამთა თორდია, გიგა მამულაშვილი, თორნიკე გაბრიელიძე.
9. შეხვედრა კუსრდამთავრებულებთან	ცოტნე გუდავა, მამუკა ელიზბარაშვილი, მურმან ჭეჭლაშვილი, ნინო კიკვაძე, თემურ შუკაკიძე, გოდერძი მეხრიშვილი, მეგი გლუნჩაძე.
10. შეხვედრა დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან	ავთო კიკაბიძე - შპს „საქართველოს მელიორაცია“, ნიკოლოზ კაკუშაძე - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგება“, ნათია იორდანიშვილი - „სატყეო სააგენტო“
11. ძირითადი მიგნებების გაცნობა	დაწესებულების წარმომადგენლები

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ **სტანდარტი 1. - შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.** ამასთან კომპონენტი 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის მოთხოვნებით, პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებამებოდეს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს. კომუნიკაციის უნართან დაკავშირებით საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნაა "ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე“, რაც არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი პროგრამის სწავლის შედეგებში. საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგებში გარკვევით აისახოს კურსდამთავრებულის კომუნიკაციის უნარი უცხოურ ენებთან მიმართებაში და შესაბამისი ცვლილებები შევიდეს პროგრამის სასწავლო გეგმაშიც (უცხოური ენების სწავლების გაძლიერება).

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისას (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, ხარისხის სამსახური, ფაკულტეტის დეკანი) აღინიშნა სტუდენტებში უცხოური ენების ცოდნის დაბალი დონე, რაც წარმოადგენს სტუდენტების მხრიდან პროგრამის მიერ შეთავაზებული აიოვას უნივერსიტეტში ტრანფერის გამოუყენებლობის მიზეზს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აშშ-ს აიოვას უნივერსიტეტსა და სტუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით სტუდენტებს მესამე კურსიდან შეეძლოთ სწავლის გაგრძელება აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის 5 წლიანი განხორციელების პერიოდში ასეთი შესაძლებლობის გამოყენება არ მომხდარა.

რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს, ეს პროგრამისათვის ახალი გამოწვევაა განახლებული აკრედიტაციის სტანდარტების ფონზე. ჩანს, რომ დაწესებულებაში დაწყებულია ამ საკითხზე მუშაობა და საერთო მიდგომების ჩამოყალიბების პროცესი. ამ მიმართებით პროგრამის პაკეტში წარმოდგებილია დოკუმენტი „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ნიადაგის და წყლის რესურსების ინჟინერია“ - სწავლების შედეგების სქემა“. ამ დოკუმენტით არ ჩანს თუ რა სამიზნე ნიშნულები აქვს პროგრამას თითოეული სწავლის შედეგისათვის და როგორ ხდება სწავლის შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. ამ საკითხთან მიმართებაში პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ერთობლივი სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების აუცილებლობის წინაშე დგანან. აქ მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

სტანდარტი 2. შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამასთან, კომპონენტი 1.2. სასწავლო კურსი - შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ერთგვარი სურვილი და მოთხოვნაა, რომ პროგრამა მაქსიმალურად ავითარებდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს. ამ მიზნით სასწავლო კურსებში წარმოდგენილია პრაქტიკული და ლაბორატორიულ სამუშაოები, საკურსო სამუშაოები და ჩაშენებული პრაქტიკა. პროგრამის სასწავლო კურსები გარკვეული სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურაში ნაკლებადაა წარმოდგენილი პრაქტიკული და ლაბორატორიულ სამუშაოს და/ან საკურსო სამუშაოს შესაბამისი ძირითადი ლიტერატურა. დაწესებულებას გასაუმჯობესებელ მხარეებში წარმოდგენილი აქვს ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე პროგრამასთან თავსებადობის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა კონკრეტულად

შეფასდეს პრიორიტეტულად რომელი სასწავლო კურსის ლიტერატურა მოითხოვს გაუმჯობესებას და როგორ მოხდება ეს ეტაპობრივად, რაც ასახული იქნება პროგრამის განვითარების გეგმაში.

სტანდარტი 3. შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამასთან, კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა არ შეფასებულა, რადგან წარმოდგენილი პროგრამა საბაკალავროა, შესაბამისად არ საჭიროებს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელებს.

სტანდარტი 4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2016-2017 სასწავლო წლიდან საგანმანათლებლო პროგრამა „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია" ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის XI კორპუსში (დ. გურამიშვილის გამზ. №17), რომელიც წარმოადგენს განახლებულ და გამართულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტისათვის. პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით (სასწავლო ლაბორატორიები, ლაბორატორიული აღჭურვილობა და ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები და სხვ.) რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტი 5. ასევე შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამასთან კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, რომელიც ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა) ჩართულობით და ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით, მოითხოვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს დროში გაწერილი პროცედურებით სისტემატური და რეგულარული გამოყენების უზრუნველყოფისათვის.

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1.

- გასწორდეს პროგრამის კურიკულუმში მითითებული ლინკი აიოვას უნივერსიტეტის შესახებ, რადგან იგი წარმოადგენს არასწორ ინფორმაციას და შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს დაინტერესებული პირი.

სტანდარტი 2.

- პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს კურსდამთავრებულის კომუნიკაციის უნარი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად;
- გაუმჯობესდეს უცხოური ენების სწავლება, მათ შორის განხილულ იქნას მინიჭებული კრედიტების გაზრდის საკითხი;
- გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და ანალიზის შესაძლებლობები, ისე, რომ მკაფიოდ იქნას განსაზღვრული შემდეგი საკითხი „პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება".
- რადგან დაწესებულებაც აღიარებს, რომ გასაუმჯობესებელი მხარეა ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე პროგრამასთან თავსებადობის ფარგლებში, კონკრეტულად შეფასდეს პრიორიტეტულად რომელი სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა მოითხოვს გაუმჯობესებას და როგორ მოხდება ეს ეტაპობრივად. აღნიშნული აისახოს პროგრამის განვითარების გეგმაში.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შექმნას მდგრადი პრაქტიკა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მუდმივად იღებდეს სათანადო მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.
- სასწავლო კურსებში დაემატოს ის ძირითადი ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს იმ სწავლის შედეგებს, რომელიც მიიღწევა საკურსო სამუშაოს, პრაქტიკული და/ან ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით.

სტანდარტი 3.

- პროგრამის თვითშეფასებაში გასაუმჯობესებელი მხარეებში წარმოდგენილია სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში, ღონისძიებებში და კვლევებში ხელშეწყობის გაძლიერება. შესაბამისად, პროგრამის განვითარების სტრატეგია და დაგეგმილი აქტივობები ამ საკითხსაც უნდა მოიცავდეს.

სტანდარტი 5.

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა გააჩნდეს პროგრამის მონიტორინგისა და შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების დროში გაწერილი პროცედურები სისტემატური და რეგულარული გამოყენების უზრუნველყოფისათვის. ამ მიმართებით გასაუმჯობესებელია გამოკითხვის სისტემა, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას შეაფასონ სავალდებულო კურსი სემესტრის დასასრულს, ამ შედეგების დამუშავებისა და შემდგომი რეაგირების მექანიზმების ჩათვლით.
- შემუშავდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სამიზნე ნიშნულების დადგენას პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის, რაც გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მონიტორინგისათვის და სამიზნე ნიშნულებთან დადარებისათვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სტანდარტი 1.

- შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგია, რომლის ნაწილიც იქნება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.

სტანდარტი 2.

- სასურველია პროგრამას გააჩნდეს გარკვეული პოლიტიკა როგორც პროგრამის რეკლამირებისათვის, ასევე მოტივირებული და მაღალი კომპეტენციების აბიტურიენტების მოსაზიდად.
- პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას იხელმძღვანელონ პრინციპებით: ერთი სწავლის შედეგი ერთ აქტიურ ზმნას მოიცავს; სწავლის შედეგები თვალსაჩინო და გაზომვადია; შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასება სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, სწავლის შედეგების მიღწევა მოცემულ ვადებში და არსებული რესურსების პირობებში რეალისტურია.
- სტუდენტებს მიეცეს მეტი შესაძლებლობა საპროექტო, საექსპლუატაციო და მონიტორინგული სამუშაოების შესასრულებლად წყალთა მეურნეობისა და სამელიორაციო ობიექტებზე;
- დამსაქმებლებთან ერთად დაიგეგმოს სტუდენტების სტაჟირება და საველე სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, რომელიც ორმაგი ხარისხის მომტანი იქნება;
- ყურადღება გამახვილდეს ფერმერულ მეურნეობებში სტუდენტების პრაქტიკის განხორციელებაზე, სარწყავ და დასაშრობ ფართობებზე ნიადაგისა და წყლის ურთიერთმოქმედების ეფექტურობის დასადგენად.
- სილაბუსებში მიმდინარე აქტივობების შეფასების დროში გაწერა აკადემიურ პერსონალს შეფასების პროცესის ოპტიმიზირების საშუალებას მისცემს, ამასთან გაზრდის გამჭვირვალობას, სტუდენტის ინფორმირებულობას და გააიოლებს სასწავლო პროცესის მართვას.

სტანდარტი 5.

- სასურველია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილ იქნას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი შიდა ხარისხის შეფასების სისტემის ფუნქციონირებით.
- სასურველია გამოყენებულ იქნას ელექტრონული გამოკითხვის ფორმები, რაც გაიოლებს მონაცემთა დამუშავებას და ანალიზს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ფაკულტეტზე არსებული ლაბორატორიული ბაზა, „აგროეკოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო-დიაგნოსტიკური ლაბორატორია“, რომელიც აკრედიტებულია აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს მიერ.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური საინჟინრო-საპროექტო ცოდნის მქონე დინამიკურად ცვალებად გარემოში ორიენტირებული აგროინჟინერი, როგორც განათლების შემდგომი საფეხურისთვის, ასევე დასაქმების ფართო ბაზრისთვის, რომელსაც ეცოდინება ნიადაგების დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება, ბუნებრივი წყლის რესურსების ხარისხის დაცვა-გაუმჯობესება და ინტეგრირებული მართვა, თანამედროვე აგროსაინჟინრო სისტემების დაპროექტება-ექსპლუატაცია ბუნებრივ-ანთროპოგენური რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. 2014-2015 წლებში პროგრამა შემუშავდა აშშ-ს აიოვას უნივერსიტეტსა და სტუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გულისხმობდა აიოვას უნივერსიტეტში არსებული პროგრამის „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ ანალოგის გადმოღებას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. პროგრამის კურიკულუმში პროგრამის აღწერის პუნქტში აღნიშნულია შემდეგი: „პროგრამის „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ ანალოგებს წარმოადგენენ: 1. 90% -იანი თანხვედრით პროგრამა „ნიადაგისა და წყლის რერსურსების ინჟინერია“ ,აგრარული და ბიოსისტემების ინჟინერინგის“ დეპარტამენტი. აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი. http://catalog.usu.edu/preview_program.php?catoid=12&poid=9559&returnto=3827 2. 70 %-იანაი თანხვედრით პროგრამა „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ნებრასკა-ლინკოლნის სახელწოფო უნივერსიტეტი. https://engineering.unl.edu/agen/agen-soil-and-water-resources-engineering/“ ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა წარმოდგენილი ლინკები, აღმოჩნდა, რომ აიოვას უნივერსიტეტის მითითებული ბმულიდან იხსნება იუტას სახელმწიფო უნივერსიტეტის (Utah State University) 2018-2019 წლის კატალოგის გვერდი ირიგაციული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის შესახებ. ექსპერთთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს (პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის სამსახურის უფროსს) სთხოვა წარმოედგინათ აიოვას უნივერსიტეტის ის საბაკალავრო პროგრამამ რომელთანაც 90% -იანი თანხვედრას უთითებს უნივერსიტეტი. სამწუხაროდ, ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა ამ პროგრამის წარმოდგენა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება; • სტუ-ის და აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. • საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი; • ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • გასწორდეს პროგრამის კურიკულუმში მითითებული ლინკი აიოვას უნივერსიტეტის შესახებ, რადგან იგი წარმოადგენს არასწორ ინფორმაციას და შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს დაინტერესებული პირი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოში მოქმედი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის N 120/ნ ბრძანება) მიხედვით უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებია: „კომუნიკაციის უნარი – იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება“.

პროგრამის კურიკულუმში სწავლის შედეგებში კომუნიკაციის უნარის აღწერა მოცემულია შემდეგნაირად: „პროექტირების პროცესში ზეპირსიტყვირად და წერით საკუთარი აზრის, მსჯელობის და დასკვნების ნათლად ჩამოყალიბება; ფართო ტექნიკური აუდიტორიის წინაშე პროექტის მიმდინარეობის ეტაპობრივი ანგარიშების და საპროექტო წინადადებების წარდგენა და პრეზენტაცია სპეციალისტებისათვის და არასპეციალისტებისათვის წერითი და ზეპირი ანგარიშების მისაღები ფორმით მიწოდება; მიზნობრივი საჯარო სიტყვის სხვადასხვა ტიპის აუდიტორიის წინაშე პრეზენტაცია და პიროვნებათაშორისი კომუნიკაციების დამყარება“.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ჩანაწერი „წერითი და ზეპირი ანგარიშების მისაღები ფორმით მიწოდება“ არ ასახავს საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნას უცხოურ ენებთან მიმართებაში. შესაბამისად, საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგებში გარკვევით აისახოს კურსდამთავრებულის კომუნიკაციის უნარი უცხოურ ენებთან მიმართებაში და შესაბამისი ცვლილებები შევიდეს პროგრამის სასწავლო გეგმაშიც (უცხოური ენების სწავლების გაძლიერება).

აღნიშნული რეკომემდაცია განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით უცხოური ენებისათვის გამოყოფილია ჯამში 6 კრედიტი, (3-3 კრედიტი I და II სემესტრში).

სტუდენტებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა, რომ სტუდენტები სათანადო დონეზე ვერ ფლობენ უცხოურ ენას, თუმცა აქვთ საჭიროება და სურვილი აიმაღლონ უცხოური ენის დონე, და შესაბამისად, აღნიშნავენ შესაბამისი კურსების საჭიროებას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისას (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, ხარისხის სამსახური, ფაკულტეტის დეკანი) აღინიშნა სტუდენტებში უცხოური ენების ცოდნის დაბალი დონე, რაც წარმოადგენს სტუდენტების მხრიდან პროგრამის მიერ შეთავაზებული აიოვას უნივერსიტეტში ტრანფერის გამოუყენებლობის მიზეზს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აშშ-ს აიოვას უნივერსიტეტსა და სტუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით სტუდენტებს მესამე კურსიდან შეეძლოთ სწავლის გაგრძელება აშშ-ს აიოვას სახელმწიფო

უნივერსიტეტში. პროგრამის 5 წლიანი განხორციელების პერიოდში ასეთი შესაძლებლობის გამოყენება არ მომხდარა.

ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელების განცხადებებით, ისინი იცნობენ აღნიშნულ საკითხს და უცხოური ენების სწავლებასთან დაკავშირებით ინიცირებულია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის თვითშეფასებაშიც სტანდარტი 1-ის გასაუმჯობესებელ მხარეებად დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს შემდეგი: „პროგრამების მაქსიმალურად დაახლოვება აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამასთან; პროგრამის ინტერნაციონალიზაცია; ქართულენოვანი ლიტერატურის შექმნა; დასაქმების ბაზრის გაფართოება".

ამ სუსტი მხარეების აღმოსაფქვრელად პროგრამას უნდა გააჩნდეს შესაბამისი სტრატეგია და მკაფიო სამოქმედო გეგმა, რაც გაუმჯობესებს ხარიხს და ხელს შეუწყობს ჩასატარებელი სამუშაოების კოორდინირებას.

რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს, ეს პროგრამისათვის ახალი გამოწვევაა განახლებული აკრედიტაციის სტანდარტების ფონზე. ჩანს, რომ დაწესებულებაში დაწყებულია ამ საკითხზე მუშაობა და საერთო მიდგომების ჩამოყალიბების პროცესი. ამ მიმართებით პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია დოკუმენტი „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ნიადაგის და წყლის რესურსების ინჟინერია" - სწავლების შედეგების სქემა". პროგრამის სწავლის შედეგების სქემა მოითხოვს სრულყოფას - წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით შეუსაბამოა სასწავლო კურსები და სწავლის შედეგები. მაგალითად, სწავლის შედეგს - ნიადაგის დაცვასა და ნაყოფიერების ამაღლებას იძლევვა 38 სასწავლო კურსი, მათ შორის საინჟინრო გრაფიკა, კრიტიკული აზროვნება, კალკულუსი და სხვ. ასევე ამ დოკუმენტით არ ჩანს თუ რა სამიზნე ნიშნულები აქვს პროგრამას თითოეული სწავლის შედეგისათვის და როგორ ხდება სწავლის შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. ამ საკითხთან მიმართებაში პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ერთობლივი სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების აუცილებლობის წინაშე დგანან. აქ მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი
- პროგრამის თვითშეფასება
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს კურსდამთავრებულის კომუნიკაციის უნარი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად;
- გაუმჯობესდეს უცხოური ენების სწავლება, მათ შორის განხილულ იქნას მინიჭებული კრედიტების გაზრდის საკითხი;
- გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და ანალიზის შესაძლებლობები, ისე, რომ მკაფიოდ იქნას განსაზღვრული შემდეგი საკითხი „პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება".

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შემუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგია, რომლის ნაწილიც იქნება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. წარმოდგენილ პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო ატესტატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობაში პროგრამას 5 წლიანი არსებობის მანძილზე აქვს დაბალი დაინტერესება აბიტურიენტების მხრიდან. აქედან პირველი სამი არჩევანი 2018 წელს გაუარესდა წინა წელთან შედარებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. საგანმანათლებლო პროგრამა „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“; 2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018/2019 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი ფაკულტეტების მიხედვით http://gtu.ge/pdf/adgilebi_bak_%202018_SD_1.pdf
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამას გააჩნდეს გარკვეული პოლიტიკა როგორც პროგრამის რეკლამირებისათვის, ასევე მოტივირებული და მაღალი კომპეტენციების აბიტურიენტების მოსაზიდად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ წარმოადგენს მოქმედ აკრედიტებულ პროგრამას (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №12, 10.01.2014), რომელიც ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამა „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელიც შედგენილია ძირითადი სპეციალობის 220 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების 20 კრედიტისგან. ძირითადი სპეციალობის კრედიტები თავის მხრივ შედგება: ზოგადი სასწავლო კურსების 81 კრედიტისგან, დარგობრივი სასწავლო კურსების 128 კრედიტისგან და არჩევითი სასწავლო კურსების 11 კრედიტისგან. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ,,ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მოცემულია ლოგიკური თანმიმდევრობით, ზოგადიდან კერძოსკენ და მარტივიდან რთულისკენ. პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების შესახებ. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ კომპონენტს, სტანდარტი 1-ის კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგების პუნქტში წარმოდგენილ შეფასებასთან კავშირის გათვალისწინებით, აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. საგანმანათლებლო პროგრამა „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“; 2. პროგრამის თვითშეფასება; 3. ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია კომპლექსურად. სასურველი იქნება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ამ შედეგების ჩამოყალიბება მოხდეს შემდეგი პრინციპებით: ერთი სწავლის შედეგი ერთ აქტიურ ზმნას მოიცავს; სწავლის შედეგები თვალსაჩინო და გაზომვადია; შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასება სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, სწავლის შედეგების მიღწევა მოცემულ ვადებში და არსებული რესურსების პირობებში რეალისტურია.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე. აშშ-ს აიოვას უნივერსიტეტსა და სტუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნა. ქართულენოვანი ადაპტირებული ვარიანტები გამოიყენება ძირითად სასწავლო მასალებად.

გარკვეული სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურაში ნაკლებადაა წარმოდგენილი პრაქტიკული და ლაბორატორიულ სამუშაოს და/ან საკურსო სამუშაოს შესაბამისი ლიტერატურა. მაგ. სითხეების მექანიკა, შრომის უსაფრთხოება აგროსაწარმოებში, მასალათა მექანიკა, ნიადაგისა და წყლის დაცვის სისტემების დაპროექტება და შეფასება, აგროსაინჟინრო პროექტირება I, აგროსაინჟინრო პროექტირება II, საინჟინრო ჰიდროლოგია და ჰიდრავლიკა. ძირითადი ლიტერატურა უნდა უზრუნველყოფდეს იმ სწავლის შედეგებს, რომელიც მიიღწევა საკურსო სამუშაოს, პრაქტიკული და/ან ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით.

დაწესებულებას გასაუმჯობესებელ მხარეებში წარმოდგენილი აქვს ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე პროგრამასთან თავსებადობის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა კონკრეტულად შეფასდეს პრიორიტეტულად რომელი სასწავლო კურსის ლიტერატურა მოითხოვს გაუმჯობესებას და როგორ მოხდება ეს ეტაპობრივად, რაც ასახული იქნება პროგრამის განვითარების გეგმაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ის და აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- პროგრამის სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რადგან დაწესებულებაც აღიარებს, რომ გასაუმჯობესებელი მხარეა ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე პროგრამასთან თავსებადობის ფარგლებში, კონკრეტულად შეფასდეს პრიორიტეტულად რომელი სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა მოითხოვს გაუმჯობესებას და როგორ მოხდება ეს ეტაპობრივად. აღნიშნული აისახოს პროგრამის განვითარების გეგმაში.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შექმნას მდგრადი პრაქტიკა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მუდმივად იღებდეს სათანადო მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.
- სასწავლო კურსებში დაემატოს ის ძირითადი ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს იმ სწავლის შედეგებს, რომელიც მიიღწევა საკურსო სამუშაოს, პრაქტიკული და/ან ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას იხელმძღვანელონ პრინციპებით: ერთი სწავლის შედეგი ერთ აქტიურ ზმნას მოიცავს; სწავლის შედეგები თვალსაჩინო და გაზომვადია; შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასება სასწავლო კომპონენტის ფარგლებში, სწავლის შედეგების მიღწევა მოცემულ ვადებში და არსებული რესურსების პირობებში რეალისტურია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს „აგროეკოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო-დიაგნოსტიკური ლაბორატორია“, რომელიც აკრედიტებულია აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ (სტანდარტი: სსტ ისო/იეკ 17025:2010). ლაბორატორია აკრედიტებულია შემდეგ სფეროებში: წყალი (19 პარამეტრი), ხილი, ბოსტნეული და მისი გადამუშავების პროდუქტი (9 კომპონენტი), მარცვალი და მარცვალგადამუშავების პროდუქტები (2 კომპონენტი), რძე და რძის პროდუქტები (2 კომპონენტი), ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები (6 კომპონენტი), ნიადაგები (16 კომპონენტი), ნიმუშის აღება ნიადაგები (6 კომპონენტი). აღსანიშნავია, რომ ლაბორატორია ამ მხრივ უნიკალურია საქართველოს მასშტაბით საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სასწავლო-სამეცნიერო-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებში. ფაკულტეტის ხელმძღვანელის განცხადებით 2019 წელს დაგეგმილია სფეროს გაფართოება და ახალი კომპონენტების დამატება.

აღნიშნული კარგი შესაძლებლობაა, რომ ფაკულტეტზე არსებული ლაბორატორიული ბაზა მრავალმხრივად იქნას გამოყენებული სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვისათვის.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დამსაქმებლებს, რომლებიც წარმოდგენილ იქნა შპს ,,საქართველოს მელიორაცია“, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგება“ და შპს ,,სატყეო სააგენტო“-ს ორგანიზაციის წამყვანი სპეციალისტების სახით. მათ დააფიქსირეს კურსდამთავრებულთა მომზადების ძლიერი და სუსტი მხარეები და გამოითქვა სურვილები სტუდენტების ცოდნის დონის გაძლიერების მიმართულებით.

შეხვედრაზე პროგრამის ძლიერ მხარედ დაფიქსირდა ფაკულტეტზე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე ლაბორატორიული ბაზის არსებობა, რომლის სტანდარტებიც შეესაბამება ევროპულ მოთხოვნებს, მელიორაციის, ნიადაგის და წყლის რესურსების, ქიმიისა და ბიოლოგიის მეცნიერული კვლევის მიმართულებით.

დამსაქმებლებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა მათი ინტერესი და მზაობა სტუდენტებისათვის სასწავლო პრაქტიკის გაძლიერების მიმართულებით, რაც უნდა მოიცავდეს წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის ობიექტებზე მონიტორინგისა და საველე-კვლევითი სამუშაოებს.

საყურადღებოა ასევე დამსაქმებლების ინტერესი სტუდენტების სტაჟირების სრულყოფაზე, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნის ამაღლებას. გამოითქვა მოსაზრება სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტებს მიეცეს საშუალება ადგილზე წყალთა მეურნეობისა და სამელიორაციო ობიექტებზე შეასრულონ პრაქტიკული სამუშაოები შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ე.წ. მეთვალყურის მხედველობაში მიღებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის კურიკულუმი • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • მატერიალურ-ტექნიკური ბაზა • ფაკულტეტის ვებ-გვერდი, http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=11368 • ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სტუდენტებს მიეცეს მეტი შესაძლებლობა საპროექტო, საექსპლუატაციო და მონიტორინგული სამუშაოების შესასრულებლად წყალთა მეურნეობისა და სამელიორაციო ობიექტებზე; • დამსაქმებლებთან ერთად დაიგეგმოს სტუდენტების სტაჟირება და საველე სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, რომელიც ორმაგი ხარისხის მომტანი იქნება; • ყურადღება გამახვილდეს ფერმერულ მეურნეობებში სტუდენტების პრაქტიკის განხორციელებაზე, სარწყავ და დასაშრობ ფართობებზე ნიადაგისა და წყლის ურთიერთმოქმედების ეფექტურობის დასადგენად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): - ფაკულტეტზე არსებული ლაბორატორიული ბაზა, „აგროეკოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო-დიაგნოსტიკური ლაბორატორია“, რომელიც აკრედიტებულია აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს მიერ.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები. მეთოდები შეირჩევა კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის კურიკულუმი • პროგრამის სილაბუსები • ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის შეფასება ხორციელდება სტუ-ს მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით და არის კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას; შეფასების თითოეულ ფორმისა და კომპონენტისათვის განსაზღვრულია მაქსიმალური შესაძლებელი შეფასება. კრედიტის მინიჭება არ ხდება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს. შუალედური შეფასების შემადგენელი სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომლისთვისაც განსაზღვრულია მე-8 სასწავლო კვირა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტებისათვის დაწესებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. რაც შეეხება სხვა მიმდინარე აქტივობებს, სილაბუსის მიხედვით სტუდენტისათვის შეფასების დრო გაურკვეველი რჩება. მაგალითად, არ არის ინფორმაცია როდის გაიცემა დავალებები, რომელ ლაბორატორიულ მეცადინეობაზე შეფასდება (როდესაც ყველა მეცადიენობაზე არ ფასდება), როდის ხდება თეზისების და პრეზენტაციის წარდგენა და შეფასება. სილაბუსებში ხშირ შემთხვევაში ასევე არ ჩანს სასწავლო კურსში ჩაშენებული პრაქტიკისა და საკურსო სამუშაოს წარდგენისა და შეფასების ვადები. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სილაბუსებში მიმდინარე აქტივობების შეფასების დროში გაწერა აკადემიურ პერსონალს შეფასების პროცესის ოპტიმიზირების საშუალებას მისცემს, ამასტან გაზრდის გამჭვირვალობას, სტუდენტის ინფორმირებულობას და გააიოლებს სასწავლო პროცესის მართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის კურიკულუმი • პროგრამის სილაბუსები • ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები • შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან
რეკომენდაციები: –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სილაბუსებში მიმდინარე აქტივობების შეფასების დროში გაწერა აკადემიურ პერსონალს შეფასების პროცესის ოპტიმიზირების საშუალებას მისცემს, ამასთან გაზრდის გამჭვირვალობას, სტუდენტის ინფორმირებულობას და გააიოლებს სასწავლო პროცესის მართვას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) აკრედიტებული პროგრამის ფუნქციონირების პერიოდში შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ყველაზე ხშირად იცვლებოდა. სახეზეა გაუმჯობესებაზე ორიენტირება, შეფასების სწავლის შედეგებთან კავშირების გამოკვეთით.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, დაწესებულება აღნიშნული სტანდარტის დაკმაყოფილებას ასაბუთებს იმ აქტივობებით, რომლებიც უნივერსიტეტში ხორციელდება.

პროგრამის მიხედვით, ვინაიდან ის არ ითვალისწინებს მოდულურ სისტემას და მოიცავს მხოლოდ ერთ მიმართულებას, სტუდენტს თავიდანვე განსაზღვრული აქვს პროფილი. ფაკულტეტზე სტუდენტს აქვს საშუალება მიიღოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისგან სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ აკადემიური პერსონალისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციას, თუმცა ნაკლებად იცნობენ სილაბუსებს. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, მათ აქვთ კომუნიკაცია შესაბამის აკადემიურ პერსონალთან.

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების გამოკითხვას კითხვარებით. ამასთან, უნივერსიტეტში არსებობს ე.წ. ანონიმური ყუთის პრაქტიკა, სადაც თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა განათავსოს წერილი მისთვის პრობლემურ, აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ წერილებს პერიოდულად ეცნობა ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

პროგრამის თვითშეფასებაში გასაუმჯობესებელი მხარეებში წარმოდგენილია სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში, ღონისძიებებში და კვლევებში ხელშეწყობის გაძლიერება. აღნიშნული მხარის გასაძლიერებლად პროგრამას გააჩნია შესაბამისი ადამიანური და მატერიალურ-ტექნილური რესურსი. შესაბამისად, პროგრამის განვითარების სტრატეგია და დაგეგმილი აქტივობები ამ საკითხსაც უნდა მოიცავდეს.

კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული მხარდაჭერის კონტექსტში აღსანიშნავია მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, რომელსაც სტუდენტების ინტერესების დაკმაყოფილება შეუძლია. სტუდენტებთან გასაუბრებით ასევე დგინდება პრაქტიკული სამუშაოებისადმი მზარდი ინტერესი.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებით, გარდა არსებული ელექტრონული პლატფორმისა, ტესტურ რეჟიმშია ელექტრონული ბაზა, სადაც მეტად დეტალურად იქნება ასახული სასწავლო სილაბუსები თუ სტუდენტთა კონსულტირებისთვის საჭირო სხვა ცნობები.

აღნიშნული სტანდარტის გასაუმჯობესებელ მხარედ პროგრამის ავტორები სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში, ღონისძიებებში და კვლევებში ხელშეწყობის გაძლიერებას მიიჩნევენ. უშუალოდ ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა არ მიუღიათ, რასაც დაწესებულება ასევე თვლის სტრატეგიულად განსავითარებელ საკითხად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი

რეკომენდაციები:

- პროგრამის თვითშეფასებაში გასაუმჯობესებელი მხარეებში წარმოდგენილია სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში, ღონისძიებებში და კვლევებში ხელშეწყობის გაძლიერება. შესაბამისად, პროგრამის განვითარების სტრატეგია და დაგეგმილი აქტივობები ამ საკითხსაც უნდა მოიცავდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამა საბაკალავროა, შესაბამისად არ საჭიროებს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული მოთხოვნები აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოს აღწერას და ფუნქციების განაწილებას სტუ-ს რეგულაციებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პერსონალური მონაცემებით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ვინაიდან ისინი აფილირებულნი არიან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ძირითადი დატვირთვა გააჩნიათ ამ უნივერსიტეტში; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

ბაკალავრიატის საგანამანათლებლო პროგრამის „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ ხელმძღვანელი არის სტუ-ს აფილირებული პროფესორი და გააჩნია დიდი პროფესიული გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უნივერსიტეტში ასევე უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და სამეცნიერო შრომები
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია.
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია სტუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგზე. შექმნილია საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც აფასებენ მეცადინეობების ხარისხს, კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს, აკეთებენ შესაბამის დასკვნებს და ანალიზს. წარმოდგენილი პროგრამის აკადემიური პერსონალისათვის 2015-2016 სასწავლო წელს ჩატარებულია ტრენინგები სწავლების, სწავლია, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობაზე აიოვას უნივერსიტეტის მიდგომებთან. პროგრამაში ჩართული პერსონალი სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას და მონაწილეობას იღებს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. გასაუმჯობესებელია პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რეგულარული შეფასებასა და შედეგების ანალიზის სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევებზე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, ავტორიზაციის პროცესის შედეგად სტუ-ში ინიცირებული და დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებები პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მხრივ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიღება; • სტუ-ის და აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. • ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 2016-2017 სასწავლო წლიდან საგანმანათლებლო პროგრამა „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის XI კორპუსში (დ. გურამიშვილის გამზ. №17), რომელიც წარმოადგენს განახლებულ და გამართულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტისათვის. პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით (სასწავლო ლაბორატორიები, ლაბორატორიული აღჭურვილობა და ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები და სხვ.) რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა. • ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 2014 წლიდან საგანმანათლებლო პროგრამა „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტში ცენტრალიზებულად (უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით). უნივერსიტეტის მიერ, ერთიანი ბიუჯეტიდან ფაკულტეტისთვის პროცენტულად ხდება თანხის გამოყოფა, რომელსაც ფაკულტეტი ანაწილებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაწერილ ყველა პუნქტზე. ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტში განისაზღვრება ფინანსები ფაკულტეტზე არსებული პროგრამებისათვის, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მართვის ორგანოა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს სასწავლო პროგრამების კურიკულუმებსა და სასწავლო კურსების სილაბუსებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი სრულყოფისათვის.

პროგრამის თვითშეფასების მომზადებისათვის შექმნილი იყო თვითშეფასების ჯგუფი, სადაც შედიოდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

თვითშეფასებით გამოვლენილი სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოსაფქვრელად პროგრამის მენეჯმენტი საჭიროებს დიდ მხარდაჭერას ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მხრიდან.

სასურველია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილ იქნას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი შიდა ხარისხის შეფასების სისტემის ფუნქციონირებით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შიდა შეფასებისათვის იყენებს სტუდენტთა პერიოდულ გამოკითხვებს, რომელიც ანალიზდება და იხილება ფაკულტეტის საბჭოზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად წარმართვის მიზნით, ფაკულტეტზე შექმნილია კომისია, რომელიც პერიოდულად ატარებს პერსონალის შეფასებას ლექციებზე დასწრების გზით, ასევე მიმდინარეობს ლექციის მსვლელობის ვიდეოჩაწერა და სტუდენტთა პერიოდული გამოკითხვა, პერსონალის შეფასების და სალექციო კურსების მიმდინარეობის შესახებ.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის კითხვარების დამუშავება ძალზე შრომატევადია.

სასურველია გამოყენებულ იქნას ელექტრონული გამოკითხვის ფორმები, რაც გაიოლებს მონაცემთა დამუშავებას და ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების კითხვარები;
- თვითშეფასებით წარმოდგენილი პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. 2018 წლის 14 თებერვლის N01-05-04/1 დადგენილება;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილ იქნას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი შიდა ხარისხის შეფასების სისტემის ფუნქციონირებით.
- სასურველია გამოყენებულ იქნას ელექტრონული გამოკითხვის ფორმები, რაც გაიოლებს მონაცემთა დამუშავებას და ანალიზს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა მოქმედია და აკრედიტებულია საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2014 წელს. პროგრამის ფუნქციონირების პერიოდში ყოველწლიურად ხდებოდა წლიური თვითშეფასების წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში.

ამ ეტაპზე პროგრამა წარდგენილია განმეორებითი აკრედიტაციის მიღებისათვის. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი აღიარებენ გარე ხარისხის შეფასების დადებით მხარეებს და მზად არიან გაითვალისწინონ მიმდინარე შეფასების შედეგები შემდგომი განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სტუ-ის და აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუირების საფუძველზე ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება, რომელშიც ჩართულები იყვნენ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. შეფასება ხორციელდება როგორც შეხვედრებზე განხილვის ფორმატში, ასევე კითხვარების საშუალებით.

პროგრამის შეფასებისთვის დამუშავდა მიღებული ინფორმაცია, გაკეთდა ანალიზი და განისაზღვრა მისი ძირითადი ნაკლოვანებები და გასაუმჯობესებელი საკითხები, რომელიც აისახა რეკომენდაციებში. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე განისაზღვრა მოდიფიცირების გზით მისი განახლების საჭიროება.

პროგრამა იყენებს დადარების პრინციპს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და მიმართულია გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ეფექტური განხორციელებისათვის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის გამოკითხვები, შესაბამისი ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი უნდა მოხდეს დროში გაწერილი პროცედურების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს სისტემატურ და რეგულარულ გამოყენებას.

სტანდარტი 1-ის კომპონენტი 1.2-ის დასაკმაყოფილებლად პროგრამას უნდა გააჩნდეს სამიზნე ნიშნულები აქვს პროგრამას თითოეული სწავლის შედეგისათვის, რაც გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მონიტორინგისათვის და სამიზნე ნიშნულებთან დადარებისათვის. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის განმახორციელებელი გუნდი ამ საკითხთან მიმართებაში ერთობლივი სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების აუცილებლობის წინაშე დგანან. აქ მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების კითხვარები;
- თვითშეფასებით წარმოდგენილი პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა გააჩნდეს პროგრამის მონიტორინგისა და შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების დროში გაწერილი პროცედურები სისტემატური და რეგულარული გამოყენების უზრუნველყოფისათვის. ამ მიმართებით გასაუმჯობესებელია გამოკითხვის სისტემა, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას შეაფასონ სავალდებულო კურსი სემესტრის დასასრულს, ამ შედეგების დამუშავებისა და შემდგომი რეაგირების მექანიზმების ჩათვლით.
- შემუშავდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სამიზნე ნიშნულების დადგენას პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის, რაც გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების მონიტორინგისათვის და სამიზნე ნიშნულებთან დადარებისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 27

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ციცინო თურქაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

მამუკა ბენაშვილი

ანი ბილანიშვილი

გივი გავარდაშვილი